# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 29

2014 წ. "20" 11

ქ.თბილისი

### შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $56^2$-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, $56^3$-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

### საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205037137) 2014 წლის 30 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 8 000-ით.
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №10 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

*დანართი*

| აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| ბაკალავრიატი | 1. ბიზნესის ადმინისტრირება<br>2. საჯარო მმართველობა<br>3. ეკონომიკა<br>4. ტურიზმი<br>5. სამართალმცოდნეობა<br>6. პოლიტიკის მეცნიერებები<br>7. ჟურნალისტიკა<br>8. საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)<br>9. ფსიქოლოგია<br>10. არქეოლოგია<br>11. ხელოვნებათმცოდნეობა<br>12. ისტორია<br>13. გერმანული ფილოლოგია *(მილევადი)*<br>14. ინგლისური ფილოლოგია<br>15. ქართული ფილოლოგია<br>16. ინფორმატიკა<br>17. მათემატიკა<br>18. ჯანდაცვის ადმინისტრირება<br>19. საექთნო საქმე<br>20. საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისათვის<br>21. ინგლისური ლიტერატურა (თარჯიმან-რეფერენტი) | 1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი<br>2. საჯარო მმართველობის ბაკალავრი<br>3. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ეკონომიკაში<br>4. ტურიზმის ბაკალავრი<br>5. სამართლის ბაკალავრი<br>6. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებებში<br>7. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში<br>8. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ ურთიერთობებში<br>9. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში<br>10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში<br>11. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში<br>12. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში<br>13. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში<br>14. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში<br>15. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში<br>16. ინფორმატიკის ბაკალავრი |

| | | |
|---|---|---|
| | 22. ტურიზმის ბიზნესი და ბიზნესის ინფორმაციული სისტემები<br>23. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა<br>24. აღმოსავლეთმცოდნეობა<br>25. საერთაშორისო ურთიერთობები<br>26. ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია<br>27. ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა<br>28. ფარმაცია<br>29. ფილოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამა | 17. მათემატიკის ბაკალავრი<br>18. მენეჯმენტის ბაკალავრი<br>19. საექთნო საქმის ბაკალავრი<br>20. საექთნო საქმის ბაკალავრი<br>21. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი<br>22. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი<br>23. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი<br>24. აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი<br>25. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში<br>26. ინჟინერიის ბაკალავრი<br>27. ინჟინერიის ბაკალავრი<br>28. ფარმაციის ბაკალავრი<br>29. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში |
| მაგისტრატურა | 1.ბიზნესის ადმინისტრირება<br>2.ინგლისური ფილოლოგია<br>3. ინფორმატიკა<br>4. კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია<br>5. რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა;<br>6. საერთაშორისო ურთიერთობები<br>7. საზოგადიებრივი ჯანმრთლობა და ჯანდაცვის პოლიტიკა<br>8. სამართალი<br>9. საქართველოს ისტორია<br>10. საჯარო მმართველობა<br>11. ჯანდაცვის ადმინისტრირება | 1.ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი<br>2.ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი<br>3. ინფორმატიკის მაგისტრი<br>4. ანტროპოლოგიის მაგისტრი<br>5. რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი<br>6. საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი<br>7. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი<br>8. სამართლის მაგისტრი<br>9. საქართველოს ისტორიის მაგისტრი<br>10. საჯარო მმართველობის მაგისტრი<br>11. ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი<br>12. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |

| | | |
|---|---|---|
| | 12. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა. | |
| **დოქტორანტურა** | 1.ბიზნესის ადმინისტრირება<br>2. ფილოლოგია<br>3. ინფორმატიკა<br>4. კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია<br>5. მასობრივი კომუნიკაცია<br>6. საზოგადოებრივი ჯანდაცვა<br>7. სამართალმცოდნეობა<br>8. პოლიტიკის მეცნიერებები<br>9. ისტორია | 1.ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი<br>2. ფილოლოგიის დოქტორი<br>3. ინფორმატიკის დოქტორი<br>4. ანთროპოლოგიის დოქტორი<br>5. მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი<br>6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი<br>7. სამართლის დოქტორი<br>8. პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი<br>9. ისტორიის დოქტორი |
| **ერთსაფეხურიანი** | 1.სტომატოლოგია საერთაშორისო სტუდენტებისათვის | 1. დიპლომირებული სტომატოლოგი |

*სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:*

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა | 60 |